

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრებს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ იკისრა ვალდებულება განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სფეროში.

საქართველოს კანონმდებლობის აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან¹ შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება განსაზღვრულია ასოცირების ხელშეკრულების XXXIII დანართით. შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული შეუსაბამობების მიხედვით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული, საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებების ფარგლებში, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი ნორმები შესაბამისობაში მოვა ზემოაღნიშნულ ევროპულ დირექტივასთან.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სხვადასხვა პროექტების ფარგლებში (მათ შორის: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს კანონმდებლობისა და აუდიოვიზუალური მედია დირექტივის დაახლოების პროცესში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერი პროექტი“, ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“), უცხოელ ფესბერტებთან ერთად ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს კანონმდებლობასა და მითითებულ დირექტივას შორის შეუსაბამობების დადგენასა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაზე. რამაც ასახვა ჰპოვა წარმოდგენილ კანონპროექტში. კანონპროექტის შემუშავების პროცესში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაითვალისწინა მაუწყებელთა მიერ კონსულტაციის პროცესში წარმოდგენილი წინადადებები.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მაუწყებლობის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან. კანონპროექტის მიზანია კანონმდებლობით ისეთი წესების განსაზღვრა, რომლებიც გაითვალისწინებენ ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებს და უზრუნველყოფენ ერთიან

¹ 2010 წლის 10 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EC დირექტივა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებით ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ

თანაბარ პირობებს ბაზარზე გამოჩენილი აუდიოვიზუალური მედიის ახალი სახეებისთვის, კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება, აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, არასრულწლოვანთა და მომხმარებელთა დაცვა, მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა და სხვადასხვა ნიშნით შუღლის (სიძულვილის) გაღვივებისკენ მიმართულ პროგრამებზე ეფექტიანი რეაგირება, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო პროგრამებისა და რეკლამების მედიის მიერ გავრცელების თანმდევი რისკებისა და შედეგების ეფექტიანი პრევენციის მექანიზმის შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით, საკანონმდებლო რეგულირებას მაუწყებლებთან ერთად დაექვემდებარება გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივის გათვალისწინებით, კანონპროექტით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სახეებს მიეკუთვნება ტელემაუწყებლობა და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება. კანონპროექტი მკაფიოდ განსაზღვრავს განსხვავებას მაუწყებელსა და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელს შორის. განსხვავებით მაუწყებლობისაგან, რომლის შემთხვევაში ყველა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება, პროგრამის ჩვენება ხდება მაუწყებლის მიერ განსაზღვრულ ერთიდაიმავე დროს, პირდაპირ და არა ჩანაწერის სახით, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების შემთხვევაში, მომხმარებელი გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული პროგრამების კატალოგის საშუალებით, ინდივიდუალური მოთხოვნისამებრ, მის მიერ შერჩეულ დროს უყურებს პროგრამებს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივის მე-2 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტი განსაზღვრავს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელების პირობებს, რომელთა მიზანია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელმა, რომელიც არ არის დაფუძნებული საქართველოში, მაგრამ, მისი აუდიოვიზუალური მედია პროდუქცია განკუთვნილია საქართველოს აუდიტორიისთვის და ის ზეგავლენას ახდენს მასზე, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა. კანონპროექტით, იურისდიქციის საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები: აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის სათაო ოფისის ადგილსამყოფელისა და სარედაქციო გადაწყვეტილებების მიღების ქვეყანა, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდებაში ჩართული სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილის საქმიანობის განხორციელების ქვეყანა, ასევე, ქვეყანა, სადაც განთავსებულია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ გამოყენებული თანამგზავრული კომუნიკაციის (კავშირის) სადგური ან ქვეყანა, რომლის კუთვნილი თანამგზავრის ფუნქციურ რესურსს იყენებს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივის მე-5 მუხლის შესაბამისად, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული იქნებიან მათი მომსახურების მიმღები პირები უზრუნველყონ ინფორმაციით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის სახელწოდების შესახებ, საკონტაქტო მონაცემებით, მათ შორის: მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, ინფორმაცია მარეგულირებელი ორგანოს შესახებ, რომელსაც აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის მე-6 მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფენ, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მედია მომსახურების მიმწოდებლების მიერ მიწოდებული აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურება არ შეიცავდეს რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური ან ეროვნული ნიშნით სიძულვილის გაღვივებას. ამავე ევრო დირექტივის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტის თანახმად, აუდიოვიზუალური კომერციული კომუნიკაციები (i) არ უნდა იყოს ადამიანის ღირსების შემლახველი; (ii) არ უნდა შეიცავდეს ან აქეზებდეს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას სქესის, რასის ან ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რელიგიის ან რწმენის, შეზღუდული უნარის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. ამავე ევროპული დირექტივის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წევრი სახელმწიფოები მიიღებენ შესაბამის ზომებს, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფმა მაუწყებლებმა არ განათავსონ პროგრამები, რომელთაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ არასრულწლოვნების ფიზიკურ, გონებრივ ან ზნეობრივ განვითარებას, განსაკუთრებით, პროგრამები, რომლებიც შეიცავენ პორნოგრაფიას ან გაუმართლებელ ძალადობას.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით პროგრამული შეზღუდვების დაუცველობის შემთხვევები ექცევა მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილვის ქვეშ. კერძოდ, ომის პროპაგანდის, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხის შემცველი პროგრამების, პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი, უხამსობის შემცველი პროგრამის ან რეკლამის და სხვ. განთავსება არ იწვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას მაუწყებლისთვის და მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მაუწყებლისთვის ასეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელების აკრძალვის ქმედით მექანიზმებს.

საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი ითვალისწინებს ევრო დირექტივით განსაზღვრულ ზემოთ მითითებულ აკრძალვებს, თუმცა, მაუწყებლების მიერ ამ მოთხოვნების დარღვევაზე რეაგირება, ამავე კანონის მე-14 და 59¹ მუხლების თანახმად, ხდება მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში და ამასთანავე, ამ მოთხოვნების დარღვევაზე მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების კომისიაში ან სასამართლოში გასაჩივრება დაუშვებელია (გარდა 56-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (10.10.2009 N 1/3/421,422) დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა), რაც ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობის მოთხოვნების ეფექტიან აღსრულებას. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში უცხოელი ექსპერტების მიერ კომისიისთვის მოცემული რეკომენდაციების თანახმად, ზემოაღნიშნული საკითხებზე რეაგირება სწორედ მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებას უნდა წარმოადგენდეს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის სადეკლარაციო ნაწილის 44-ე პუნქტის თანახმად, თვითრეგულირების მექანიზმი შესაძლებელია წარმოადგენდეს აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის აღსრულების დამატებით საშუალებას, მაგრამ, თვითრეგულირების მექანიზმის არსებობა ვერ ჩაანაცვლებს სახელმწიფოს ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს აღნიშნული ევრო დირექტივიდან. ამავე პუნქტის თანახმად, სახელმწიფოში თანარეგულირების მექანიზმის არსებობის შემთხვევაშიც კი, უნდა არსებობდეს სახელმწიფო ჩარევის

შესაძლებლობა, თუკი აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის მიზნები არ არის მიღწეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ ევროპული დირექტივის ზემოთ მითითებული მოთხოვნების სრულფასოვნად შესრულების მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით შეთავაზებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებულ პროგრამულ შეზღუდვებთან დაკავშირებულ დარღვევებზე მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმის დანერგვა. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული პროგრამის განთავსების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირი საჩივრით მიმართავს მაუწყებელს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. დაინტერესებულ პირს უფლება ექნება გაასაჩივროს მაუწყებლის თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება თვითრეგულირების მექანიზმის სააპელაციო ორგანოში, როგორც ეს დადგენილია ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით. კანონპროექტით გათვალისწინებულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ დაინტერესებულ პირს უფლება ექნება გაასაჩივროს მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომისიაში ან სასამართლოში. მაუწყებელთა თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების კომისიაში გასაჩივრების შემთხვევაში, მაუწყებელთა მიერ ჩადენილ დარღვევებზე რეაგირებას მოახდენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობით აქვს მაუწყებელთა მიერ სამართალდარღვევების ჩადენის პრევენციის სამართლებრივი ეფექტიანი ბერკეტები, კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად, კომისიას აქვს მაუწყებლისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სამართალდარღვევის აღკვეთის დავალდებულების უფლებამოსილება. კომისიის გადაწყვეტილება მაუწყებელთა თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე გასაჩივრებადი იქნება სასამართლოში. კანონპროექტით ზემოაღნიშნული წესი გავრცელდება ასევე გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლებზე. თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კომისიაში ან სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაზრდის თავად თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტიანობას და მაუწყებლები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან შემოსულ საჩივრებს.

ზემოთ მითითებული გარემოებების გამო, დარღვევათა სიმძიმის გათვალისწინებითა და ამ დარღვევებზე მყისიერი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებიდან გამოვა და უშუალოდ კომისიის ან სასამართლოს განსახილველი იქნება ისეთი პროგრამებისა და რეკლამების გადაცემა, რომლებიც შეიცავენ ომის პროპაგანდას, უხამსობას ან/და რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, როგორც წესი, აღნიშნული საკითხები რეგულირდება არა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, არამედ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის სადეკლარაციო ნაწილის 46-ე პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობა და ინტეგრაცია სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში დაკავშირებულია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ხელმისაწვდომობასთან. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის მე-7 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლებს წარმოეშობათ ვალდებულება

უზრუნველყონ მათ მიერ განთავსებული პროგრამების თანაბარი ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული პროგრამების დამზადებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მაუწყებლების, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირებისა და გამომცემებითი აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლების უფლებები და ვალდებულებები დეტალურად განისაზღვრება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული (აუდიოდეკრიფციით, ტელეტექსტური მომსახურებით, სუბტიტრებით და ჟესტების ენით) პროგრამების დამზადებისა და განთავსების წესით, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა მიიღოს არაუგვიანეს 2021 წლის პირველი იანვრისა.

კანონპროექტით შემოთავაზებულია ადმინისტრაციულ ორგანოს მიენიჭოს უფლებამოსილება დააფინანსოს მაუწყებლის მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტირებული (აუდიოდეკრიფციით, ტელეტექსტური მომსახურებით, სუბტიტრებით და ჟესტების ენით) სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემების დამზადებისთვის და განთავსებისთვის გაწეული დამატებითი ხარჯები, გადაცემის ეთერში გასვლის შემდგომ. ამ შემთხვევაში მაუწყებელმა ადმინისტრაციულ ორგანოსა და კომისიას უნდა წარუდგინოს ანგარიში გადაცემის ადაპტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების შესახებ, შესაბამისი პირველადი ფინანსური დოკუმენტების (ინვოისი, მიღება ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება და ა.შ.) დართვით. ხოლო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა განახორციელოს მონიტორინგი და დაადასტუროს, რომ ეთერში გასული გადაცემა შეესაბამებოდა კომისიის მიერ დამტკიცებულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ჟესტური ენით, სუბტიტრებითა და აუდიოდეკრიფციით გადაცემების დამზადებისა და განთავსების სახელმძღვანელო წესებს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტით იკრძალება ფარული აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაცია, რომელიც ამავე დირექტივაში მოცემული განმარტების გათვალისწინებით, წარმოადგენს პროდუქტის, მომსახურების ან პროდუქტის მწარმოებლის ან მომსახურების მიმწოდებლის სახელის, სვაჭრო ნიშნის ან საქმიანობის სიტყვიერი ან გრაფიკული გამოსახულების პროგრამებში განთავსებას მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ რეკლამირების განზრახვით იმგვარად, რომ ამ გამოსახულებათა პროგრამებში განთავსების დანიშნულებასთან მიმართებაში მაყურებელი შესაძლოა შეცდომაში შევიდეს. კანონპროექტით, ამგვარი გამოსახულებები პროგრამებში განზრახ განთავსებულად მიიჩნევა, თუ განხორციელებულია საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ.

კანონპროექტით შემოთავაზებულია ნებადართული იყოს საქართველოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოებში ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელეარხების თავისუფალი მიღება და შეუზღუდავი ტრანზიტი, ასევე, სხვა სახელმწიფოებიდან გამომდინარე აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიღება, თუკი მაუწყებელთა და გამომცემებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პროგრამები შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობასთან. კანონპროექტი განსაზღვრავს ტელეარხისა და გამომცემებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების თავისუფალი მიღებისა და ტრანზიტის შეზღუდვის პირობებს. სხვა სახელმწიფოებში ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელეარხის თავისუფალი მიღებისა და ტრანზიტის შეზღუდვა დასაშვებია იქნება, თუკი ამ ტელეარხით გადაცემული პროგრამები არ იქნება შესაბამისობაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან (მაგალითად,

როცა პროგრამა შეიცავს პორნოგრაფიას ან მავნე ზეგავლენის მომხდენია ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე ან რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის და სხვ.), გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიღებისა და ტრანზიტიის შეზღუდვა დასაშვები იქნება საჯარო პოლიტიკის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მე-15 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრება ტელემაუწყებლის მიერ გადაცემულ მთავარ მოვლენაზე სხვა მაუწყებლების მიერ წვდომის მოპოვების ზოგადი პირობები და მთავარი მოვლენის გაშუქების ექსკლუზიური უფლების მფლობელი მაუწყებლის ვალდებულება უზრუნველყოს წვდომა აღნიშნული მოვლენების საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქების მიზნით. აღნიშნული ემსახურება მაუწყებლის მიერ საჯარო ინტერესის მქონე მოვლენების ექსკლუზიურად გაშუქებისა და საზოგადოების დიდი ნაწილის ასეთ მოვლენებზე წვდომის შეზღუდვის თავიდან აცილებას.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მე-16 მუხლის შესაბამისად, ევროპული წარმოების სატელევიზიო პროდუქციის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, კანონპროექტით ზუსტდება ტელემაუწყებლის მიერ ასეთი პროდუქციისთვის სატელევიზიო დროის გამოყოფის წესი. კერძოდ, მაუწყებელმა მისი სატელევიზიო დროის მინიმუმ 10% (ახალი ამბების პროგრამების, სპორტული მოვლენებისა და თამაშების, რეკლამის, ტელეტექსტის და ტელეშოპინგისათვის გამოყოფილი დროის გამოკლებით) ან შენაცვლებით მისი პროგრამების ბიუჯეტის მინიმუმ 10% ტელემაუწყებლისგან დამოუკიდებელი პროდიუსერების მიერ შექმნილი ევროპული წარმოების პროდუქციას უნდა დაუთმოს.

აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მე-13 მუხლის შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრება გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულება შესაბამისი საშუალებებით ხელი შეუწყოს ევროპული წარმოების პროდუქციის წარმოებას და ხელმისაწვდომობას, ასეთი შესაძლებლობის არსებობისას.

მოქმედი კანონმდებლობით თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, ინტერნეტისა და საკაბელო ქსელების გამოყენებით შესაძლებელია გავრცელდეს ერთი პირის ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირის მფლობელობაში არსებული საერთო სატელევიზიო არხები მათი რაოდენობის მიუხედავად.

რაც შეეხება საერთო საეთერო მაუწყებლობას, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წლის 12 ივნისს ცვლილებების შეტანამდე საერთო საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის რაოდენობის მფლობელობაზე დაწესებული იყო შეზღუდვა („*მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 60. „პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად ფლობდეს არა უმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო და 1 საერთო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას თითო მომსახურების ზონაში.*“), რომელიც უკავშირდებოდა მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვას, რომელიც თავის მხრივ, გამოწვეული იყო სიხშირული რესურსის შეზღუდული რაოდენობის არსებობით და მიზნად ისახავდა სიხშირული რესურსის შეზღუდული რაოდენობით არსებობის პირობებში ერთი პირის მფლობელობაში ამოწურვადი სიხშირული რესურსის შეუზღუდავად თავმოყრის თავიდან აცილებას და აქედან გამომდინარე, მედია პლურალიზმისა და სამაუწყებლო ბაზრის განვითარების წახალისებას.

2015 წლის 17 ივნისიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე აიგო ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმები. დღეის მდგომარეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს შპს „სტერეო+“-ის ორი და შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ციფრული მულტიპლექსპლატფორმები, თბილისის მასშტაბით - თბილისის მულტიპლექსპლატფორმა, ასევე, ფუნქციონირებს 22 რეგიონალური მულტიპლექსი. შესაბამისად, მხოლოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით სტანდარტული გარჩევადობის 35-ზე მეტი საეთერო სამაუწყებლო არხის გავრცელება არის შესაძლებელი. მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, სამაუწყებლო არხების გავრცელების მიზნით მულტიპლექსის შესაქმნელად არსებობს დამატებითი რესურსი.

2015 წლის 12 ივნისს, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შედეგად, აღნიშნული კანონის მე-60 მუხლს დამატა მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია თავის ქსელში გაატაროს ერთი პირის ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირის მფლობელობაში არსებული არაუმეტეს 5 ტელემაუწყებლისა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (12.06.2015; N3691-IIს) პროექტზე საქართველოს პარლამენტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო ცვლილების მიზანი იყო მაუწყებლობის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვის რეგულაციის ახლებურად დამუშავება, რათა კანონმდებლობაში ადეკვატურად ასახულიყო ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში სატელევიზიო პროგრამების ღია ეთერით გავრცელებასთან დაკავშირებული სპეციფიკა.

კანონპროექტით შეთავაზებულია მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა საეთერო მაუწყებლობასთან დაკავშირებით გავრცელდეს მხოლოდ რადიოარხის მიმართ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას იმ შემთხვევისთვის, თუ ადმინისტრაციული ორგანოები გადაწყვეტენ გამოიყენონ წინამდებარე კანონპროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილება მაუწყებლების მიერ სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტაციისათვის გაწეული დამატებითი ხარჯების დაფინანსების თაობაზე. აღნიშნულთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე კანონპროექტით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2021 წლის პირველ იანვრამდე უნდა დადგინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული (ყესტების ენით, ტელეტექსტური მომსახურებით, სუბტიტრებიტრებით და აუდიოდესკრიფციით) პროგრამების დამზადებისა და განთავსების წესი, ხოლო მაუწყებელი, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებული არიან უზრუნველყონ, განთავსებული პროგრამების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა 2025 წლის პირველ იანვრამდე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს რაიმე გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის რაიმე გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება/ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“ ფარგლებში საკონსულტაციო კომპანია „Grant Thornton“-ისა და იურიდიული კომპანია „Pierston“-ის საკონსულტაციო ჯგუფი და ასევე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს კანონმდებლობისა და აუდიოვიზუალური მედია დირექტივის დაახლოების პროცესში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდამჭერი პროექტის“ ფარგლებში ექსპერტი ჯან ფრანსუა ფურნემონი .

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: